ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/218411-16

"26" 12 2016 წ.

დადგენილება №001904
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

26.12.2016წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ ვლადიმერ ყუშიტაშვილმა განვიხილე 2016 წლის 28 სექტემბრის №001904 მითითება და 2016 წლის 07 ნოემბრის №001904 შემოწმების აქტი, შედგენილი **ი.ბ.ა. "დიდი დიღომი 2005"-ის** (საიდენტიფიკაციო კოდი №205212759, თავმჯდომარე თამაზ მუმლაძე, პირადი №01025006339, მის: ქ. თბილისი, მირიან მეფის გამზ. №11, საკ. კოდი №01.10.06.014.043) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, მირიან მეფის გამზ. №11, საკ. კოდი №01.10.06.014.043-ში ი.ბ.ა. "დიდი დიღომი 2005"-ის მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის A ბლოკის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №1924446 AR1302103 29.05.2015წ. №2782132 AR1432040 22.08.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ფასადები: შეცვლილია ფასადების მოპირკეთება და ღებვის ფერი. ნაწილობრივ შეცვლილია კარ-ფანჯრების რაოდენობა, გაბარიტი, ვიზუალი და ადგილმდებარეობა. აივნებზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედლები და გისოსები, ასევე ნაწილობრივ შეცვლილია აივნების გაბარიტი. ნაწილობრივ შეცვლილია მოაჯირების მასალა და ვიზუალი. 0.00 ნიშნულთან შეცვლილია მცირე ზომის ფანჯრების რაოდენობა, ადგილმდებარეობა და გაბარიტი. ფასადებზე დამატებით მოწყობილია კონდიციონერები, საკომუნიკაციო, სავინტილაციო და წყალშემკრები მილები, ასევე დამატებულია სატელიტური თეფშები. ფასადებზე დამატებით მოწყობილია ლითონის მსუბუქი კონსტრუქცია. 38.40 ნიშნულის ზემოთ დამატებით მოწყობილია კოლონები, რიგელები და სართულშუა გადახურვის ფილები, რის ხარჯზეც გაზრდილია ფართი. შეცვლილია გადახურვის კონფიგურაცია და ნიშნულები. „0-13" ფასადი: 0.00 ნიშნულზე „7-7" ღერძთან დამატებით მოწყობილია კიბის საფეხურები, ამავე ნიშნულზე „2-6" და „9-13" მონაკვეთებში შეცვლილია ბაქნის გაბარიტი. 0.00 ნიშნულის ქვემოთ „2-2" ღერძთან დამატებით მოწყობილია კარი. „0-1" მონაკვეთში 5.40 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია სარეკლამო ბანერი. „13-0" ფასადი: „3-2" მონაკვეთში 2.80 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კიბე და ბაქანი. „ა-ო" ფასადი: „გ-დ" და „ლ-ო" მონაკვეთში გაუქმებულია კიბე და ბაქანი. „ზ-ი" მონაკვეთში

ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია აივნები. „ვ-ვ" ღერძთან 2.80 ნიშნულზე დამატებულია აივანი საჩრდილობლით. „ო-ა" ფასადი: 0.00 ნიშნულის ქვემოთ დამატებით მოწყობილია კარები და დამატებულია ფართი. „დ-ა" მონაკვეთში 1.55 და 5.40 ნიშნულებს შორის დამატებით მოწყობილია სარეკლამო ბანერები და სტიკერები. შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტი და ვიზუალი. შეცვლილია კიბეების და ბაქნის კონფიგურაცია. ბაქნის ქვეშ დამატებით მოწყობილია მცირე ზომის ფანჯრები. „გ-ბ" მონაკვეთში 5.40 ნიშნულის ზემოთ დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი. დამატებულია რიგელები. მონოლითური და ბლოკის კედლები ერთი ფაქტურით არის აღნიშნული პროექტში. შენობაში გაზრდილია კოლონების რაოდენობა. -8.400 ნიშნულზე „ბ-ბ" ღერძთან „8-8" და „9-9" ღერძებზე არსებული კოლონები ერთ სიბრტყეზეა მოწყობილი. შენობაში შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა, ასევე ±0.00 ნიშნულზე „6-7" მონაკვეთში „დ-დ" ღერძთან მობრუნებულია კიბე. „11-12" მონაკვეთში „ვ-ვ" ღერძთან გაზრდილია ლიფტის შახტის გაბარიტი. 38.40 ნიშნულზე „ნ-ო" და „1-3" მონაკვეთში მონაცვლებულია გარე კედლები, რის ხარჯზეც შეცვლილია შიდა და საზაფხულო ფართები. 41.70 ნიშნულზე „ზ-ი" მონაკვეთში შეცვლილია იატაკის ნიშნული და შეცვლილია კიბის კონფიგურაცია, ასევე დამატებით მოწყობილია ლითონის კიბე. „0-0" ღერძთან კიბე და ბაქანი ნაწილობრივ ცდება საკადასტრო საზღვრებს დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე. ვერ მოხდა ობიექტის სრულად დათვალიერება, ვინაიდან დამკვეთმა ვერ უზრუნველყო ფართების გახსნა.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2016 წლის 28 სექტემბერს შედგენილ იქნა მითითება №001904, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 30 (ოცდაათი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2016 წლის 04 ნოემბერს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001904, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

2016 წლის 22 ნოემბერს და 2016 წლის 08 დეკემბერს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვები. საქმის განხილვათა თარიღის შესახებ მხარეს ეცნობა კანონით გათვალისწინებული წესით. მიუხედავათ ამისა, მხარე სხდომებზე არ გამოცხადდა. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა; ი.ბ.ა. "დიდი დიღომი 2005"-ის თავმჯდომარის თამაზ მუმლაძის №373643/12 13.10.2016წ. განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, ი.ბ.ა. "დიდი დიღომი 2005"-ის მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, მირიან მეფის გამზ. №11, საკ. კოდი №01.10.06.014.043-ში ი.ბ.ა. "დიდი დიღომი 2005"-ის მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის A ბლოკის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №1924446 AR1302103 29.05.2015წ. №2782132 AR1432040 22.08.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო

პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. ი.ბ.ა. "დიდი დიღომი 2005" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. ი.ბ.ა. "დიდი დიღომი 2005"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, ი.ბ.ა. "დიდი დიღომი 2005"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის მოადგილე ვ. ჟუშიტაშვილი

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება # 12306063

თარიღი 2017 წლის 26 იანვარი

1

LB-00005959485

გადამხდელის დასახელება: მანანა ნაკაშიძე, 01007008061, GEO - 01007008061

გადამხდელის ანგარიში GE21LB0012545010427137

გადამხდელის ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

დასახელება: ი.მ.ა. "დიდი დიღომი 2005"

საიდენტიფიკაციო კოდი/ პირადი ნომერი: 205212759

მიმღები დასახელება: ერთიანი სამიელუკტო ანგარიში

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 300773263

მიმღებს ბანკი/ხაზინა ფინანსთა სამინისტროს ბანკის კოდი TRESGE22

საიდენტიფიკაციო კოდი:

გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი 001904 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმ

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერა: _____

_____

GEL
4000.00
თანხა სიტყვიერად

ოთხიათასი ლარი

ბანკის აღნიშვნები

შესრულების თარიღი:
26.01.2017

ბანკში შემოსვლის თარიღი:
26.01.2017

ხელმოწერა

ბ.ა.

შტამპის ადგილი